### 4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1. საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოწოდება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების საფუძველზე.
4.2. წარმოდგენილი სატენდერო წინადადების მიხედვით მიმწოდებელმა ქ. ბათუმში ხულოს ქ. N10 მდებარე შენობაში ბათუმის ისტორიის მუზეუმის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს 30 კალენდარული დღის განმავლობაში.
4.3. საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდების ადგილია ქ. ბათუმი, გუდიაშვილის ქ N4.

### 5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შემსყიდველი ამოწმებს მიმწოდებლის მიერ დამუშავებულ და წარმოდგენილ საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სრულყოფილებას.
5.2. თუ საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს შემსყიდველი დადგენილი წესის შესაბამისად მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს.
5.3. შემსყიდველს უფლება აქვს ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე დაუბრუნოს მიმწოდებელს ხარვეზიანი საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.
5.4. მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების პარალელურად, მომწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

## 6. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.
6.2. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს მიმწოდებლის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად შევსებული ინვოისის ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში.
6.3. მიმწოდებელი ვალდებულია წარმოდგენილ ინვოისში ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაზე მიუთითოს ყველა საჭირო რეკვიზიტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს დოკუმენტი

## 7. მხარეთა უფლება მოვალეობანი

7.1 შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით

**7.2 შემსყიდველი ვალდებულია:**

7.2.1 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები; 7.2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას აცნობოს მომწოდებელს ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;
7.2.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება.

**7.3 შემსყიდველს უფლება აქვს:**

7.3.1 განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მომწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;
7.3.2 განახორციელოს კონტროლი საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას;
7.3.3 მიიღოს მიმწოდებლისგან სათანადო წესით გაფორმებული საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.
7.3.3 საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება, თუ მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდა;

**7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:**

7.4.1 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
7.4.2 საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მოამზადოს ჩატარებული კვლევის პროექტის რეკომენდაციებისა და დასკვნების გათვალისწინებით.
7.4.3 დააკმაყოფილოს შემსყიდველის მოთხოვნა დამატებითი მონაცემების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით;
7.4.4 საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაზე რაიმე შენიშვნების აღმოჩენის შემთხვევაში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას იგი, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;
7.4.5 საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიხედვით სამშენებლო სამუშაოების განხორციელების დროს წარმოქმნილი დამატებითი სამუშაოების აუცილებლობის შემთხვევაში, შეიტანოს შესაბამისი კორექტირება საპროეტქო–სახარჯთაღრიცხვო

დოკუმენტაციაში შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;

7.4.6 საპროქტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარადგინოს 4 (ოთხი) ეგზემპლარად, აგრეთვე პროექტი ელექტრონულ ფორმატში (ვექტორული DWG, DXF PLN გაფართოების ფაილი – ArchiCad, Auto CAD) კომპაქტური დისკების (CD) სახით – 4 ეგზ.

**7.5 მიმწოდებელს უფლება აქვს:**

7.5.1 მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.

## 8. გარანტია

8.1. საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, აგრეთვე ტექნიკურ დავალებაში მითითებულ მოთხოვნებს.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს ექსპერტიზის გავლის შედეგად საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში რაიმე წუნის (ხარვეზის) აღმოჩენის შესახებ.

8.3. შეტყობინების მიღების შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია 5 სამუშაო დღის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში აღმიჩენილი წუნი (ხარვეზი).

8.4 ნებისმიერი პრობლემა რომელიც წარმოიქმნება სამუშაოების პროცესში საპროქტო–სახარჯთაღრიცხვო ორგანიზაციის არაკვალიფიციურად დასახული ამოცანის შედეგად და აღმოჩნდა, რომ ამის გამო სამუშაოების ღირებულება იზრდება. მომწოდებელი (საპროექტო ორგანიზაცია) ვალდებულია აანაზღაუროს ასეთი გარემოებით გამოწვეული სამუშაოები.

## 9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

9.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლები.

9.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ხორციელდება სისტემატიურად, შემსყიდველის შეხედულებისამებრ.

9.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

## 10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.5 პროცენტის ოდენობით.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

11.3. თუ მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ვალდებულებებს, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნული გარემოების დადგომის (დასრულების) შესახებ.

11.4. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე არ გათავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.5. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

## 12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

12.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

12.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12.4. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელის მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

## 13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესმყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენილი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

13.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე: ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. 51.5 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

13.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1. ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს კვლევის პროექტი.

14.2. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.3. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

## 15. სხვა პირობები

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.3. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15.4. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

15.5. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

15.6. ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრამდე.

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ – აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო
6000, საქართველო, ქალაქი ბათუმი
ლ.გუდიაშვილის ქუჩა N4
ს/კ 245631455

მიმწოდებელი:

„TOURBILLION - ტურბილიონი"
თბილისი ლომთათიძის ქ.#2, ბ.32
ს/კ 400024193
სს"თიბისი ბანკი"
TBCBGE22
GE96TB7607536080100001

შემსყიდველი

ბიძინა აფხაზავა

მიმწოდებელი

მირიან კაპანაძე

3 TOURBILLON

No

## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 59

ქ. თბილისი

22 აგვისტო, 2014 წელი

ერთის მხრივ სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტი (შემდგომში შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი **დირექტორის ლევან უჯმაჯურიძის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „TOURBILLION-ტურბილიონი"** (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი **დირექტორის მირიან კაპანაძის** სახით **„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ"** საქართველოს კანონის, **„კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანებისა, N1313** ელექტრონული კონკურსის საკონკურსო განცხადებისა და მიმწოდებლის საკონკურსო წინადადების საფუძველზე, ვდებთ წინადებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას

### 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - "ხელშეკრულება") – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული, მხარეთა მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება, მასში მინიშნებული ყველა თანდართული დოკუმენტით.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. "დღე", "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.5. "არაჯეროვანი შესრულება" - ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე მიმწოდებლის მხრიდან შემსყიდველისათვის ისეთი სახის მომსახურების მიწოდება, რომელიც შეესაბამება ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებულ საგანს, თუმცა ბოლომდე არ აკმაყოფილებს აღნიშნული ხელშეკრულების ყველა პირობას.

1.6. "ტექნიკური დავალება" - საკონკურსო განცხადების ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

### 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ პროექტისა და გეგმის მომზადებასთან, ასევე ხარჯების გამოთვლასთან დაკავშირებული მომსახურების (CPV71242000) შესყიდვა.

2.2. შესყიდვის ობიექტია - **სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი"-ს კუთვნილი, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სელექციის დასახლებაში (საკადასტრო კოდი: 72.02.42.280) მდებარე შენობის ნიადაგმცოდნეობის ლაბორატორიად გადაკეთებასთან დაკავშირებული სარეკონსტრუქციო, ამავე შენობის მიმდებარედ, დამხმარე ნაგებობების (აირების საცავი საკომპრესორო, თხევადი და აალებადი რეაქტივების საწყობი) მშენებლობასთან და ეზოს კეთილმოწყობასთან დაკავშირებული სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო** დოკუმენტაციის შედგენა- მიწოდებას.

### 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, დღგ-ს ჩათვლით, შეადგენს **21 500.00 (ოცდაერთიათას ხუთასი) ლარს.**

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა შესაბამის გადასახადს.

3.3. ხელშეკრულება ფინანსდება „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით შემსყიდველისათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

### 4. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

4.1. „მიმწოდებელმა" საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, სრულყოფილი და დასრულებული სახით, N1313 კონკურსის ტექნიკური დავალების, ასევე საკონკურსო განცხადების 21 და 22 პუნქტებთან შესაბამისობაში, უნდა წარმოუდგინოს „შემსყიდველს" **ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.**

4.2. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შემსყიდველს უნდა მიეწოდოს შემდეგ მისამართზე - ქ. თბილისი, ჩაჩავას ქუჩა N8, მე-5 სართული, სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ადმინისტრაციული ოფისი.

## 5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად (მიწოდებულად) მხოლოდ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისიწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერენ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ამავე ხელშეკრულების მე-8 მუხლით გათვალისწინებული კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის წევრები.

5.3. შემსყიდველი ამოწმებს მომწოდებლის მიერ დამუშავებული და წარმოდგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სრულყოფილებას მომწოდებლის მიერ აღნიშნული დოკუმენტების წარმოდგენის დღიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში.

5.4. თუ მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია არ შეესაბამება ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს, კონტროლის განმახორცილებელი ჯგუფი, მომწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს შესაბამის აქტს.

5.5. შენსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს ამ უკანასკნელის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციის შემოწმების შედეგებით გამვლენილი ხარვეზებისა და წუნის შესახებ.

## 6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში - ლარში, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის შესაბამისი ფინანსური დოკუმენტ(ებ)ის მიწოდების თარიღიდან.

6.3. მიმწოდებლისათვის ასანაზღაურებელი თანხა ჩაირიცხება წინამდებარე ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ „მიმწოდებლის" საბანკო ანგარიშზე.

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეამოწმოს მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულება;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

7.4. **მიმწოდებელი ვალდებულია:**

7.4.1. შემსყიდველს მიაწოდოს დადგენილი ხარისხისა და სტანდარტის შესაბამისი მომსახურება;

7.4.2. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის) მიღებისას გამოვლენილი წუნი ან/და უზუსტობა აღმოფხვრას საკუთარი სახსრებით, შემსყიდველის მხრიდან შესაბამისი წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

7.4.3. თუ შესყიდვის ობიექტის სათანადო წესით ჩაბარების შემდეგ, შემსყიდველის მიერ წრამოდგენილი პროექტის საფუძველზე მიმდინარე სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების პროცესში გამოვლინდება პროექტირებისას გაუთვალისწინებელი პირობებით გამოწვეული ან პროექტის სხვა სახის ხარვეზი, აღნიშნულის შესახებ შემსყიდველის წერილობითი შეტყობინებიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში, საკუთარის სახსრებით გამოასწოროს ყველა ნაკლოვანება და ხარვეზი.

7.4.4. განახორციელოს საავტორო ზედამხედველობა.

## 8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. „მიმწოდებლის" მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებენ სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სამეურნეო და ქონების მართვის სამმართველოს უფროსი რევაზ სიჭინავა და ამავე სამმართველოს მთავარი სპეციალისტი თენგიზ ქურდაძე

12.3. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

12.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

12.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 13. დაუძლეველი ძალა

13.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.

13.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

13.3. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

## 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 იანვრამდე.

## 15. სხვა პირობები

15.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.3. N1313 კონკურსის საკონკურსო განცხადება, გამარჯვებული კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და დანართები წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

## 16. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

| „შემსყიდველი" | „მიმწოდებელი" |
|---|---|
| სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი | შპს „TOURBILLION-ტურბილიონი" |
| ს.კ. – 205309655<br>ფაქტიური მისამართი: თბილისი, ჩაჩავას ქუჩა N8, მე-5 სართული<br>იურიდიული მისამართი: თბილისი, მარშალ გელოვანის N6<br>საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა | ს.კ. – 400024193<br>ფაქტიური მისამართი: ქ.თბილისი, ც. დადიანის ქ. #7<br>იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ჭ. ლომთათიძის ქ. #2, ბ.32<br>საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი"<br>ბ.კ. – TBCBGE22<br>ა.ა. – GE96TB 7607 5360 8010 0001<br>ტელ: 568 88 25 28 |
| დირექტორი,<br>ლევან უჯმაჯურიძე<br>_______________ | დირექტორი,<br>მირიან კაპანაძე<br>_______________ |

**სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევით ცენტრსა და შპს „TORBILLION-ტურბილიონ“-ს შორის (მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სელექვის დასახლებაში) სარეკონსტრუქციო სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით 2014 წლის 22 აგვისტოს გაფორმებული #59 ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურების**

# მ ი ღ ე ბ ა - ჩ ა ბ ა რ ე ბ ი ს  ა ქ ტ ი

ქ. თბილისი  26 სექტემბერი 2014 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო ვლევითი ცენტრი, მისი სამეურნეო და ქონების მართვის სამმართველოს უფროსის რევაზ იჭინავას სახით და მეორეს მხრივ შპს „TORBILLION-ტურბილიონ“-ი მისი დირექტორის მირიან აპანაძისა სახით, ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ მიმწოდებლის მიერ ზემოაღნიშნული ელშეკრულების ფარგლებში გაწეულია (მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სელექვის დასახლებაში) არეკონსტრუქციო სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ედგენის მომსახურება.

გაწეული მომსახურების საერთო ღირებულება და შესაბამისად მიმწოდებლისათვის ადასახდელი თანხა შეადგენს **21500 (ოცდაერთი ათას ხუთასი)** ლარს.

მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია სამ, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე გზემპლარად, რომლის ერთი პირი ჩაბარდა მიმწოდებელს-ორი შემსყიდველს.

შემსყიდველი ორგანიზაცია:

სსიპ სოფლის მეურნეობის

სამეცნიერო კვლევითი ცენტრი

რევაზ სიჭინავა

სამეურნეო და ქონების მართვის
სამმართველოს უფროსი

მიმწოდებელი:

შპს „TORBILLION-
ტურბილიონ“-ი

მირიან კაპანაძე

დირექტორი

## ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 02-10 / 281

**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**

**ქ. ბათუმი** **25 დეკემბერი 2013 წელი**

ერთის მხრივ ა(ა)იპ - ,,აგროსერვის ცენტრი'' (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ედუარდ ფუტკარაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „ M.A.N. Project Architecture “ (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი დირექტორის მირიან კაპანაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის I თავის მე-3 მუხლის „რ" ქვეპუნქტისა და ***პრეტენდენტის (შპს „M.A.N. Project Architecture“)*** სატენდერო წინადადების საფუძველზე, შემსყიდველის მიერ ჩატარებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (სატენდერო განცხადება **№SPA130027647)** შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში _ „ხელშეკრულება“) შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოსშემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულიდა ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება“– ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. ,,ტექნიკური დავალება'' - მიმწოდებლის მიერ გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ფარგლებში წარმოდგენილი ,,ინფორმაცია ტექნიკური შესაბამისობის შესახებ''.

1.8 „ფასების ცხრილი“ – მიმწოდებლის მიერ გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ფარგლებში წარმოდგენილი „ფასების ცხრილი ყველა გადასახადისა და დღგ–ს ჩათვლით“ რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

### 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ მიერ, 2013 წლის ბიუჯეტის სახსრებით, დაბა ჩაქვის სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე ჩასატარებელი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული მომსახურების (კლასიფიკატორის კოდი: CPV71300000 - საინჟინრო მომსახურებები) შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული ფასების ცხრილის (დანართი №1) შესაბამისად.

### 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება.

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება განისაზღვრება ლარებში.

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 9360 (ცხრა ათას სამას სამოცი) ლარს.

3.3 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

## 4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.
4.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

## 5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

5.1. მომსახურების მოწოდება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების საფუძველზე.
5.2. წარმოდგენილი სატენდერო წინადადების მიხედვით მიმწოდებელი მომსახურების მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 40 (ორმოცი) კალენდარული დღის ვადაში.
5.3. მომსახურების მოწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.
5.4 მომსახურების მიწოდების ადგილია ქ. ბათუმი, გოგებაშვილის (ბაქოს) ქ. N46ა.

## 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ საბოლოო შემოწმებისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
6.2. შესყიდვის ობიექტის მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
6.3. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები გამოვლენილი წუნდების მიზეზის მითითებით.
6.4. შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღება–ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.

## 7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

7.1 მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარში.
7.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან, მიმწოდებლის მიერ მომსახურების მიწოდებასა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან, ასევე შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, საავანსო ანგარიშსწორების შემთხვევაში საავანსო გადახდის საბანკო გარანტიის საფუძველზე.
7.3. საავანსო ანგარისშწორება განხორციელდება მხოლოდ 2013 წლის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებებიდან , სახელშეკრულებო ღირებულების 100%–ის ოდენობით, პრეტენდენტი ვალდებულია ავანსის მისაღებად წარმოადგინოს მხოლოდ ბანკის მიერ გაცემული საავანსო საბანკო გარანტია.
7.4 მიმწოდებელი ვალდებულია წინასწარი ანგარიშსწორების შედეგად მიღებული თანხები გამოიყენოს მხოლოდ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესასრულებლად.

## 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
ა)შეამოწმოს მიწოდებული მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
8.2 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
ბ) უზრუნველყოს შესყიდვის მომსახურების მიღება.
8.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
ა)მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
8.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## 9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. თუ მიმწოდებელის მიერ დარღვეული იქნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადები, მაშინ მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 0,5 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
9.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
9.3. მიმწოდებელს მიერ უხარისხო მომსახურების მოწოდების შემთხვევაში, მიმწოდებელს გაეგზავნება წერილობითი გაფრთხილება. 3 კალენდარული დღის განმავლობაში არსებული ხარვეზის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით და შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება.
9.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, პირგასამტეხლოს თანხა გამოქვითოს მოწოდებული მომსახურების ასანაზღაურებელი თანხიდან.
9.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 10. საავანსოდ გადასახდელი თანხის საბანკო გარანტია

10.1. საავანსოდ გადასახდელი თანხისათვის გამოიყენება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკის, მიერ გაცემული გარანტია.
10.2. საავანსო ანგარისშწორება განხორციელდება მხოლოდ 2013 წლის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებებიდან, სახელშეკრულებო ღირებულების 100%–ის ოდენობით, პრეტენდენტი ვალდებულია ავანსის მისაღებად წარმოადგინოს მხოლოდ ბანკის მიერ გაცემული საავანსო გადახდის საბანკო გარანტია. აღნიშნული გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 60 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების 5.2. პუნქტით განსაზღვრულ მომსახურების მოწოდების ვადას.
10.4. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გარანტია შემსყიდველის მიერ გამოიყენება ნებისმიერი ზიანის ან მიმწოდებლის მიერ გადაუხდელი თანხის (მათ შორის, დარიცხული პირგასამტეხლოს) ანაზღაურების მიზნით, რომლიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად.

## 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 1 მარტის ჩათვლით.

## 12. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

11.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.
11.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
11.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

## 12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 14. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

14.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ტექნიკური კონტროლი.

14.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

14.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.

## 15. სხვა პირობები

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## 16. მხარეთა მისამართები და რეკვიზიტები

| „შემსყიდველი" | „მიმწოდებელი" |
|---|---|
| ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი" | შპს „ M.A.N. Project Architecture " |
| მის. ქ. ბათუმი გოგებაშვილის ქ. №46ა | იურიდიული მის. თბილისი, ჰ. ლომთათიძის ქ.№2, ბ.32<br>ფაქტიური მის.:ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ.№7 |
| ს.ს. ,,ლიბერთი ბანკი''<br>ბანკის კოდი LBRTGE22 | ს.ს. „თიბისი ბანკი"<br>ბანკის კოდი TBCBGE22 |
| ა/ა № GE88LB0121162303587000 | ა/ა № GE96TB 760753 608 010 0001 |
| ს/კ 445399391 | ს/კ 400024193 |
| დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი | დირექტორი |
| ედუარდ ფუტკარაძე | მირიანი კუპანაძე |

შპს "M.A.N. Project Architecture" LTD. GEORGIA 400024193

## მიღება–ჩაბარების აქტი № 02-10/281

ქ. ბათუმი 3 თებერვალი 2014 წელი

ერთის მხრივ, შპს „TOURBILLION - ტურბილიონი "–ს (2014 წლის 9 იანვარს სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში შესული ცვლილებების შედეგად შპს „M.A.N. Project Architecture"–ს შეეცვალა სახელი და ეწოდა შპს „TOURBILLION - ტურბილიონი ") დირექტორმა მირიან კაპანაძემ, მეორეს მხრივ, ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრ"–სა და შპს „M.A.N. Project Architecture "–ს შორის 2013 წლის 25 დეკემბერს გაფორმებული №02-10/281 ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელმა ჯგუფმა შემადგენლობით: ჯგუფის თავჯდომარემ, ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრი"–ს დირექტორის მოადგილემ ედუარდ ფუტკარაძემ და ჯგუფის წევრებმა – ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრი"–ს ადმინისტრაციული განყოფილების უფროსმა მინდია ნაკაშიძემ და მემცენარეობის განყოფილების უფროსმა ნუგზარ ოქროპირიძემ შევადგინეთ წინამდებარე მიღება–ჩაბარების აქტი მასზედ, რომ 2013 წლის 25 დეკემბერს ურთიერთშორის გაფორმებული №02-10/281 ხელშეკრულების შესაბამისად, პირველმა მხარემ ჩააბარა, ხოლო მეორე მხარემ ჩაიბარა ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის" სარგებლობაში არსებულ დაბა ჩაქვის სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე ჩასატარებელი სამუშაოების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, თანხით 9360 (ცხრა ათას სამას სამოცი) ლარი, კერძოდ:

| N | მომსახურების დასახელება | მომსახურების ძირითადი მახასათებლები | რაოდენობა | მომსახურების საერთო ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|
| 1 | საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება | ✓ განმარტებითი ბარათი;<br>✓ საპროექტო ობიექტის და მისი საერთო ხედების ამსახველი ფოტო მასალა,<br>✓ პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარების ფოტომონტაჟი;<br>✓ გეოლოგიური კვლევა;<br>✓ გეოდეზიური რუკა (ტოპოგეგმა)<br>✓ სამუშაო პროექტი (არქიტექტურული და კონსტრუქციული მუშა ნახაზები)<br>✓ ელექტროობის პროექტი;<br>✓ სან-ტექნიკური ნაწილი;<br>✓ სათვალთვალო კამერების პროექტი;<br>✓ მშენებლობის ორგანიზების პროექტი, კალენდარული გრაფიკი;<br>✓ ხარჯთაღრიცხვა;<br>პროექტში გათვალისწინებულია:<br>✓ ოფისის ვერანდას გადახურვა არა უმეტეს 60 კვ.მ;<br>✓ პირველი სართულის საწყობის გადატიხრვა არა უმეტეს 80 კვ.მ;<br>✓ ოფისის ეზოს კეთილმოწყობა არა უმეტეს 2000 კვ.მ;<br>✓ ღობის საძირკვლები;<br>✓ შიგა გზები, ბილიკები;<br>✓ ქარსაფარი ზოლი;<br>✓ გარე განათება;<br>✓ ანგარის მშენებლობა არა უმეტესი 1000 კვ.მ;<br>✓ სათბურის შიდა ტერიტრიის დაგეგმარება; | 3 ეგზემპლარი | 9360,00 |
| *საერთო (ჯამური) ღირებულება* | | | ლარი | 9360,00 |

**მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ**

ჩააბარა:
შპს „TOURBILLION - ტურბილიონი "
დირექტორი მირიან კაპანაძე

ჩაიბარა:
ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრი"–ს მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორც. ჯგუფი:

ჯგუფის ხელმძღვანელი: ედუარდ ფუტკარაძე

ჯგუფის წევრები: მინდია ნაკაშიძე

ნუგზარ ოქროპირიძე